დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2020 წლის 30 ოქტომბრის N 02-09/184 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" აცხადებს კონკურსს მუსიკალური ბიბლიოთეკის (კატალოგის) სინქრონიზაციის/არანჟირების ლიცენზიის შესყიდვაზე

შესასყიდი პროდუქცია: მუსიკალური ბიბლიოთეკა (კატალგი)

მუსიკალური ბიბლიოთეკა (კატალგი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. მუსიკალური ბიბლიოთეკა(კატალოგი) უნდა იყოს ერთიან პლათფორმაზე (ვებ.გვერდზე) ატვირთული ჟანრობრივად და სხვადასხვა კრიტერიუმით დალაგებული მუსიკალური ნაწარმოებები/ფონოგრამები.
2. შემსყიდველს მუსიკალურ ბიბლიოთეკაზე წვდომა უნდა შეეძლოს ვებ.გვერდზე ავტორიზაციის მეშვეობით.
3. შემსყიდველს ენიჭება პლათფორმაზე ატვირთული მუსიკალური ნაწარმოებების/ფონოგრამების შეუზღუდავის სინქრონიზაციის/არანჟირების უფლება 1(ერთი) წლის ვადით.
4. შემსყიდველის მიერ მუსიკალურ ბიბლიოთეკაში შემავალი მუსიკალური ნაწარმოებების/ფოგორამების სინქრონიზაციას/არანჟირებას არ უნდა სჭირდებოდეს წინასწარი ან/და რაიმე სახის შეთანხმება.

ლიცენზიის ღირებულება:
მუსიკალური ბიბლიოთეკის (კატალოგის) ლიცენზიის შესყიდვის ღირებულებაა - 8600 (რვა ათას ექვსასი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის/გადასახდელის ჩათვლით.

განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს არანაკლებ (შესაძლებელია უკეთესი) წინამდებარე საკონკურსო პირობებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი შემოთავაზება.

განცხადების წარმოდგენის ვადები:
განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 2020 წლის 31 ოქტომბერი .
განცხადების მიღება დასრულების თარიღი: 2020 წლის 09 ნოემბერი (დღის 24:00 საათი)

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე სსიპ „საზოგადოერბივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს დირექტორის (გიორგი კოხრეიძე) სახელზე (ხელმოწერით)
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
- შემოთავაზებულ მუსიკალურ ბიბლიოთეკაზე ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილები/საავტორო და მომიჯნავე უფლებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები(არსებობის შემთხვევაში, თუ აღნიშნული დოკუმენტაცია არ არის

წარმოდგენილი, გამარჯვებული ვალდებული იქნება წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან მხარეთა მიერ შეთანხმებულ გონივრულ ვადაში).

- მუსიკალური ბიბლიოთეკის (კატალოგის) ვებ.გვერდის დასახელება/დაშვება სადაც საკონკურსო კომისიას შეეძლება ატვირთული მუსიკალური ნაწარმოებების/ფონოგრამების დათვალიერება/მოსმენა.

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება:

ბ) გაცხადების წარდგენა:

გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება:

დ) გამარჯვებულის გამოვლენა

ე) ხელშეკრულების გაფორმება

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე, ან მაუწყებლის ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით. ელექტრონული ფოსტით განცხადების გამოგზავნის შემთხვევაში, სათაურის ველში მითითებული უნდა იყოს „კონკურსი“.

3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

საკონტაქტო პირი:
სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი ინგა გოგოლიშვილი
ტელ: 591 980 520